



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
23 სექტემბერი, 2019

ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის აგვისტოში ექსპორტი წლიურად 12.3%-ით გაიზარდა და 309.4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 3.7%-ით შემცირდა 744.5 მლნ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 12.5%-ით შემცირდა და 435.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2019 წლის აგვისტოში 5 უმსხვილესი საქსპორტო საქონელი იყო: სპილენძი (+60.1% წ/წ), ავტომობილები (+61.7% წ/წ), ღვინო (+15.4% წ/წ), მედიკამენტები (+4.7% წ/წ) და ფეროშენადნობები (-53.4% წ/წ).

2019 წლის აგვისტოში 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: ნავთობი (-20.7% წ/წ), ავტომობილები (-5.1% წ/წ), სპილენძი (+8.4% წ/წ), მედიკამენტები (-10.4% წ/წ) და ტელეფონები (-8.1% წ/წ).

ჯამურად, 2019 წლის პირველ რვა თვეში, ექსპორტი წლიურად გაიზარდა 12.4%-ით და 2.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 4.4%-ით შემცირდა 5.7 მლრდ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 13.8%-ით შემცირდა და 3.3 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.


ფულადი გზავნილები: 2019 წლის აგვისტოში ფულადი გზავნილების მოცულობამ 146.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7.8%-ით არის გაზრდილი 2018 წლის აგვისტოსთან შედარებით. ფულადი გზავნილები წლიურად გაიზარდა შემდეგი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: იტალია (+25.6%), აშშ (+1.5%), საბერძნეთი (+16.9%), ისრაელი (+8.1%) და თურქეთი (+9.2%, ზრდა პირველად დაფიქსირდა 2018 წლის აგვისტოს შემდეგ). ამასთან, კლება გაგრძელდა რუსეთიდან (-14.5%). 2019 წლის პირველ რვა თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 7.8%-ით გაიზარდა და 1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ტურიზმი: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა წლიურად 4.4%-ით გაიზარდა და 1.09 მლნ ვიზიტორი შეადგინა. მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების ზრდა განპირობდა როგორც ტურისტების რაოდენობის (+2.3% წ/წ, მთლიანი ვიზიტების 69.4%), ასევე ერთდღიანი ვიზიტების ზრდამ (+9.7%). ძირითადი ბაზრებიდან, ვიზიტები წლიურად გაიზარდა აზერბაიჯანიდან (+12.8%), სომხეთიდან (+4.5%), თურქეთიდან (+6.8%), უკრაინიდან (+16.3%), ისრაელიდან (+13.5%) და საუდის არაბეთიდან (+31.5%). ამასთან, ვიზიტორები შემცირდა რუსეთიდან (-8.5%) და ირანიდან (-52.0%). ჯამურად, 2019 წლის პირველ რვა თვეში სულ 5.2 მლნ (+6.4%) საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა, საიდანაც ტურისტულმა ვიზიტებმა 3.5 მლნ (+6.7%) შეადგინა. ამავე პერიოდში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა სეზონის მიხედვით 2.2 მლრდ აშშ დოლარი (უცვლელი წ/წ) შეადგინა.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის აგვისტოში მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 11.1%-ით გაიზარდა. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებში: დამამუშავებელი მრეწველობა (+11.8%) და სამთომომპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია (+21.8%).

საქონლის ექსპორტი, 8M19

საქონლის იმპორტი, 8M19




ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.8%	4.8%	4.7%
მშპ ერთ სულზე (ppp)	9,991	10,679	11,485
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	3,857	4,047	4,346
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.8%	6.7%	1.5%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	3.0	3.3
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.1%	8.8%	7.7%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.0%	2.9%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	44.4%	44.8%	45.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, G&T

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2018-19

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №6 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი



წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1.9 მლრდ ლარის (633.2 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2019 წლის 24 სექტემბერს, სადაც 5-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება

ემისიის კალენდარი, სექტემბერი 2019

თარიღი	მოცულობა, მლნ ლარი	ვადანობა
24-სექტემბერი-19	50	5 წელი


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შიგნითი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.06%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 103.24 (-0.03% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 94.52 (-0.01% წინა კვირასთან შედარებით), 7.60%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.55 (-0.12% წინა კვირასთან შედარებით), 3.77%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 109.84 ფასად (+0.07% წინა კვირასთან შედარებით), 4.00%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.87 (+0.13 წინა კვირასთან შედარებით), 2.97%-იანი შემოსავლიანობით.


ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB-/BB-/Ba2	105.87	2.97	119.63
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	109.84	4.00	238.19
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB-/B+/-	104.55	3.77	202.30
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	Jun-20	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B+/-	103.24	5.06	349.57
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B+/-	103.76	10.18	853.77
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B+/B2	94.52	7.60	598.66
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/-/B1	108.34	8.73	721.94
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B+/-	100.24	5.69	411.80
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B+/-	101.81	10.53	858.14

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	10.00%	Dec-21	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	101.05	7.00	n/a
GLC 08/20	US\$	10	7.00%	Aug-20	B+/-/-	100.57	6.38	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/-/-	98.76	7.25	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/-/-	100.33	7.38	n/a
CRYSTAL 12/19	GEL	10	11.00%	Dec-19	B-/B+/-	100.07	10.75	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	10.50%	Feb-21	B-/B+/-	99.69	10.75	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	10.50%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 08/22	GEL	34	10.00%	Aug-22	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	10.50%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	12.75%	Sep-21	B-/B+/-	100.00	13.00	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროზონის ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB-/Ba2	105.87	2.97	119.63
Armenia	US\$	500	6.000%	Sep-20	B+/-/B1	103.42	2.57	70.74
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	99.45	3.12	144.60
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	107.58	4.47	292.25
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	106.85	2.43	91.26
Russia	US\$	3,500	5.000%	Apr-20	BBB/BBB-/Baa3	101.71	2.11	8.13
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B1	102.42	3.96	220.20
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B-/B-/Caa1	104.82	5.10	342.69

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 13.20 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.30% წინა კვირასთან შედარებით და -1.27% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 371 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 12.79 – 13.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 57 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.46 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.58% წინა კვირასთან შედარებით და +1.36% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 115 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.14 – 10.48 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 47 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.12 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.96% წინა კვირასთან შედარებით და -0.46% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 295 ათასს გადააჭარბა, GBP 12.22 – 13.12 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 46 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.05 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.61% წინა კვირასთან შედარებით და -9.49% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 13 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.98 – 2.06 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 5 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	13.20	649	-20.3%	-29.6%	-4.1%	5.46x	4.82x	1.09x	0.93x
TBC	TBC	GBP	13.12	722	-17.9%	-20.7%	-13.8%	5.50x	5.01x	1.00x	0.87x
Halyk Bank	HSBK	US\$	13.30	3,908	12.2%	24.9%	28.5%	4.95x	4.87x	1.10x	1.04x
VTB Bank	VTBR	US\$	1.29	8,385	7.3%	-4.1%	16.8%	3.47x	3.30x	0.53x	0.39x
Akbank	AKBNK	TRY	7.36	38,272	9.7%	40.0%	25.1%	6.92x	4.89x	0.74x	0.65x
Garanti	GARAN	TRY	9.27	38,934	-1.5%	43.5%	16.5%	5.61x	4.12x	0.72x	0.63x
Isbank	ISCTR	TRY	5.85	26,325	-9.3%	46.3%	29.1%	4.43x	3.49x	0.47x	0.42x
PKO	PKO	PLN	39.84	49,800	0.6%	-4.8%	0.9%	11.24x	10.91x	1.20x	1.15x
PEKAO	PEO	PLN	104.10	27,323	-7.1%	-6.8%	-4.5%	11.95x	10.26x	1.17x	1.13x
Millennium	MIL	PLN	5.90	7,151	-37.3%	-33.7%	-33.5%	9.16x	7.24x	0.79x	0.72x
Mbank	MBK	PLN	316.80	13,412	-29.0%	-23.1%	-25.3%	10.91x	9.57x	0.82x	0.77x
BRD	BRD	RON	13.92	9,701	7.1%	1.5%	22.1%	7.44x	9.01x	1.24x	1.25x
Banca Transilvania	TLV	RON	2.40	12,518	22.9%	10.9%	29.7%	7.95x	9.45x	1.49x	1.40x
OTP	OTPD	USD	21.20	11,872	-7.0%	19.8%	8.2%	9.66x	9.46x	0.82x	0.71x
Komercni	KOMB	CZK	812.00	154,320	-14.4%	-10.2%	-4.1%	10.47x	10.73x	1.46x	1.37x
საშუალო								7.67x	7.14x	0.98x	0.90x
მედიანა								7.44x	7.24x	1.00x	0.87x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	10.46	384	-1.7%	-1.1%	2.4%	14.55x	11.41x	1.06x	0.98x
Tinc Comm	TINC	EUR	13.70	374	12.8%	10.0%	16.1%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	8.88	18,119	3.7%	24.4%	18.1%	4.28x	3.82x	0.53x	0.47x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	32.10	483	-3.9%	-11.3%	-4.3%	53.10x	13.87x	1.09x	1.05x
Eurazeo	RF	EUR	66.25	5,218	1.4%	2.5%	12.6%	13.97x	12.84x	0.95x	0.90x
Carlyle Group	CG	USD	26.60	2,944	39.4%	11.8%	68.9%	7.17x	4.09x	3.10x	1.81x
საშუალო								18.61x	9.21x	1.34x	1.04x
მედიანა								13.97x	11.41x	1.06x	0.98x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		EV/EBITDA	
								2019F	2020F	2019F	2020F
GHG	GHG	GBP	2.05	270	5.1%	-4.7%	0.5%	20.72x	13.35x	7.95x	6.72x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	88.10	8,810	9.3%	17.0%	9.4%	23.16x	19.37x	16.25x	13.98x
Fortis	FORH	INR	129.40	97,692	-5.1%	-8.9%	-7.9%	1.63x	1.48x	6.68x	6.74x
Raffles	RFMD	SGD	1.02	1,864	-5.6%	-7.3%	-7.3%	31.09x	30.84x	19.84x	18.84x
IHH	IHH	MYR	5.70	50,012	-2.6%	10.5%	5.8%	48.78x	39.50x	16.87x	14.70x
Bangkok Chain	BCH	THB	15.30	38,154	-7.3%	-23.9%	-8.4%	30.96x	27.94x	17.52x	15.82x
Netcare	NTC	ZAR	17.20	24,972	-32.8%	-37.3%	-34.9%	11.30x	11.03x	6.97x	6.67x
Life Healthcare	LHC	ZAR	22.81	33,470	-16.6%	-13.9%	-13.6%	19.01x	14.68x	7.93x	7.22x
Mediclinic	MDC	GBP	3.49	2,569	10.6%	-22.4%	8.1%	12.47x	13.54x	8.48x	8.19x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,469.35	204,424	26.0%	37.2%	16.8%	72.43x	56.66x	22.39x	17.21x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	0.90	3,835	-13.1%	-19.4%	-13.9%	20.90x	19.09x	10.11x	9.51x
NMC	NMC	GBP	29.10	6,075	10.8%	-12.6%	6.4%	24.04x	18.47x	14.85x	12.21x
საშუალო								26.38x	22.16x	12.99x	11.49x
მედიანა								22.03x	18.78x	12.48x	10.86x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადება რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადება ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge